ცნობის ფურცელი

№ 2358 შაბათი, 20 დეკემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2358

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გან. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარმ. 30.

ქართული თეატრი

კვირას, 21 დეკემბერს, 1903 წელს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ხალხის მტერი

ანუ

ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქ. ჰ. იბსენისა თარგ. ი. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. დავითიშვილი, ა. კარგარეთელი, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
შაბათს, 20 დეკემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

I

იოლანტა

II

საკონცერტო განყოფილება

III

ბალეტი **„რობერტ და ბერტრამ“.**

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: არციბაშევა, ჩემესოვა, კალინინა, რადიონოვა; ბ-ნნი: ფიგნერი, რაისკი, ამირჯანი, გლადკოვი, სანგურსკი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი პოზენი.

ანონსი: კვირას „კამორა“; 22 დეკ. ბენეფისი კასირისა—„ფაუსტი“. (ნ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებთი ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტაპარმაკლიძისა. (0—6.—29)

ექიმი
ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაქისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიჟინაშვილი

იღებს დილით 9—2 სათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, სახლი ი. გოკიელოვისა. (3—2)

„მოამბის“ რედაქციისაგან

რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე ნომრების დაგვიანებისათვის. ნოემბრის და დეკემბრის ნომრებიც მოკლე ხანში გამოვა.

ამასთანავე რედაქცია სიამოვნებით აცხადებს, რომ დღეიდან ბევრმა აღუთქვა ჟურნალში თანამშრომლობა.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ბერლინის გაზეთებს ვენიდან დეპეშით ატყობინებენ, იაპონიის მთავრობამ ავსტრიის თოფის ქარხანასთან მოლაპარაკება გაჰმართა: დიდძალი თოფი უნდა შემოგიკვეთოთ და რა დროს ჩაგვაბარებთო.

იმავ გაზეთებს ესსენიდან დეპეშით ატყობინებენ: იაპონიის მთავრობამ კრუპის ფირმას 100 ექვს-დიუმიანი ზარბაზანი შეუკვეთა და დიდძალი ყუმბარა. ეს ზარბაზნები და ყუმბარები სულ მოკლე ხანში უნდა ჩაჰბარდეს იაპონიას.

გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ლონდონიდან სწერენ: „11 დეკემბერი. იაპონიის საზღვაო მინისტრის განკარგულებით, უმაღლეს საზღვაო სკოლის სტუდენტები და აგრეთვე დროებით საზამთროდ დათხოვნილი მეზღვაური ოფიცრები ფლოტის სამსახურში დაიბარეს. ელიან, საზღვაო აკადემიაც დაიკეტება და იქაური პროფესორები და სტუდენტებიც ფლოტში ჩაირიცხებიანო.“

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს პეკინიდან ამნაირი დეპეშა მოჰსვლია: „11 დეკემბერი. გამოცდილ და მცოდნე პოლიტიკოსთა წრეებს პეკინში აღარა სჯერათ, რომ იაპონია-რუსეთის მოლაპარაკება მშვიდობიანად დასრულდეს. იაპონია აღარას დაუთმობს რუსეთს მანჯურიისა და კორეის საქმეში. ამბობენ, თუ რუსეთი ძლიერ არ დაუთმობს იაპონიას, უსათოდ ომი მოხდებაო. პეტერბურგის მთავრობა პირობად უდებს იაპონიას, მანჯურიიდან ჯარის გაყვანას ნუღარ მოითხოვთო, იაპონია კი ამისთანა პირობას თავის დღეში ხელს არ მოაწერს. საქმეში ჩახედული ჩინელი მოხელეები შიშით უცქერიან მომავალს: კარგად ესმისთ, თუ ომი მოხდა, ჩინეთი ისევ დიდ განსაცდელში ჩავარდება.“

იაპონიის ელჩს ოხიამას რომში უთქვამს „ტრიბუნა“-ს თანამშრომლისათვის: „შეიძლება რუსეთმა და იაპონიამ დავა მშვიდობიანად გადასწყვიტონ, მაგრამ საქმე მაინც მეტის-მეტად ცუდათ მიდისო. იაპონია თავის სახელს არ გაიტეხს და თავის კანონიერ ინტერესებზე ხელს არ აიღებს. თუ დასჭირდა, ომსაც არ მოერიდება და დარწმუნებულიცაა, რომ რუსეთს ზღვაშიაც აჯობებს და ხმელეთზედაც. სხვას ნურას იტყვით, იაპონიას დიდძალი ქვანახშირი აქვს დამზადებული, რუსეთს კი—არა. თუ ომი მოხდა, იაპონია მედგრად დაიცავს თავის ინტერესებს“.

ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: „10 დეკემბერი. მართალია ყველანი ამტკიცებენ, რომ იაპონიასა და რუსეთს უმთავრესად კორეიაზე მოსდით უთანხმოებაო, მაგრამ იაპონიის აქაურმა ელჩმა მითხრა, რომ კორეის საქმეზე კი არა, მანჯურიის საქმეზე მოსდით დიდი უთანხმოებაო. იაპონიის მთავრობამ თავის საპასუხო ნოტაში წინადადება მისცა რუსეთს, ხელშეკრულობა დავსდოთ, რომ მანჯურიაში ერთი და ერთი სამუდამოდ ყველა სახელმწიფოს ვაჭრობის უფლება ჰქონდესო. მანჯურიიდან ჯარის გაყვანას იაპონია მაინცა და მაინც ასე ბეჯითად როდიღა თხოულობს. თუ იაპონიის მეორე წინადადებასაც უარ-ჰყოფს რუსეთი, მაშინ ულტიმატუმის გაუგზავნელად, ულაპარაკოდ იაპონია კორეიაში ჯარს გადაიყვანს. ადვილი გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში აუცილებლად ომი მოხდებაო“.

„სენტრალ-ნიუს“-ის კორესპონდენტსაც თითქმის ასეთივე ცნობა მიუღია იაპონიის საელჩოსაგან ლონდონში. „სენტრალ-ნიუს“-ი იუწყება: რუსეთი იაპონიის მეორე წინადადებაზე იანვრის ადრე ვერ ჩააბარებს პასუხს. იაპონიის ახალი წინადადება იმდენად სერიოზულია, რომ რუსეთს კარგი დრო დასჭირდება პასუხის შესადგენად. თავის ნოტაში იაპონიის მთავრობა გადაჭრით აცხადებს, დიდი მადლობელი ვიქმნებით, თუ პასუხს მალე გამოგვიგზავნითო; იმედი გვაქვს, ეხლა წინანდელივით აღარ გააჭიანურებთო. იაპონიის ნოტაში ნათქვამია აგრეთვე, კორეისა და მანჯურიის საქმე ერთად ეხლავე საბოლოოდ უნდა გადასწყდესო. ზავი რუსეთის მთავრობის ხელშია. იაპონია ყოველს წამს მზადაა ჩემულპოში მთელი კორპუსი ჯარი გადაიყვანოს და სეული დაიჭიროს.

„ტაიმს“-ი სწერს: ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ იაპონიის მთავრობა იძულებულია, კორეიაში ჯარი გადაიყვანოს.

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ პარიზიდან: „11 დეკემბერი. საფრანგეთის მცოდნე წრეებისაგან სარწმუნოდ გავიგეთ, რომ ადმირალ ალექსეევს უმთავრესად მანჯურიის საქმის გადაწყვეტა აქვს დავალებული. თუ რა უფლება უნდა მიეცეს მანჯურიაში სხვა სახელმწიფოებს და იმათ შორის იაპონიასაც,—ეს სულ ადმირალ ალექსეევზეა დამოკიდებული. თუ იაპონია ადმირალის გადაწყვეტილებას არ მოიწონებს და კორეიაში ჯარს გადაიყვანს, შეიძლება ომი მოხდეს და ამ ომის პასუხის გებას რუსეთი თავის თავზე როდიღა იკისრებს. გინდა იაპონიამ მანჯურიიდან ჯარის გაყვანაც აღარ მოითხოვოს, რუსეთი მაინც მანჯურიის თაობაზე იაპონიასთან ხელ-შეკრულობას არ დასდებს. რუსეთი იმ აზრისაა, რომ მანჯურიის ნამდვილი ბატონი ვარ და სხვა სახელმწიფოებს, თუ ჩემი ნება იქნება, მივცემ რამე უფლებას, თუ არა და არ მივცემო. ვის რა უფლებას მისცემს, ეს ადმირალ ალექსეევის საქმეა, ამის პასუხს ადმირალი მხოლოდ თავის მონარქიის წინ აგებს“.

ინგლისელ ტრედ-უნიონების მოწოდება

ინგლისელ მუშების ტრედ-უნიონები დიდ წინააღმდეგობას უწევენ ჩემბერლენის სატამოჟნო განზრახვას. ეხლაც ტრედ-უნიონების საპარლამენტო კომიტეტს სატამოჟნო საქმის თაობაზე ახალი მოწოდება დაუწერია. ამას იქით თურმე ამნაირ მოწოდებას ყოველ თვის გასულს გამოსცემენ. ახალ მოწოდებაში—სათაურად „ჩემბერლენის შეუსრულებელი დაპირებანი“ აწერია—ნათქვამია: ჩემბერლენი მუშებსა სთხოვს,—ჩემ პროგრამას მხარი დაუჭირეთ; გარწმუნებთ, თუ ჩემი განზრახვა ასრულდა, ყოველ მუშას საქმე გაუჩნდება და სამუშაო ქირა მოემატებაო. ჩემბერლენი ადრევაც დაჰპირდა მოხუცებულ მუშებს, თქვენთვის პენსიებს დავაწესებთო, დაგვპირდა, მაგრამ დღესაც არ დაწესებულა ეს პენსიები. დაგვპირდა აგრეთვე, სამხრეთ-აფრიკას გავაძლიერებთ, გავაერთიანებთ და ავაყვავებთო; ამის მაგიერად ჩვენ ვხედავთ, რომ სამხრეთ-აფრიკაში ყველა უკმაყოფილოა და მთავრობა ჩინელ მუშების მოყვანას აპირობს, რადგან ეშინიან, ვაი თუ ევროპიელმა მუშებმა თავიანთი საარჩევნო უფლება კაპიტალისტების წინააღმდეგ მოიხმარონო. ტრედ-უნიონების საპარლამენტო კომიტეტი ურჩევს ჩემბერლენს, ვიდრე თავის დამღუპველ სატამოჟნო პროექტს განახორციელებდეს, სჯობია წინანდელი დაპირება შეასრულოს.

ჟორესის ახალი გაზეთი

ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, განთქმული ფრანგი სოციალისტი დეპუტატი თავის საკუთარ გაზეთს აარსებსო. გაზ. „ჟილ ბლა“ იუწყება: ჟორესის ახალი გაზეთი მომავალ წლის 1 თებერვლიდან (ახ. სტ.) გამოვა და სახელად „XX სიეკლ“-ი ერქმევა; გაზეთი ყოველ დღე გამოვა და ნომერი ხუთი სანტიმი ეღირება. რედაქტორად მარტო ჟორესი იქნება, უმთავრეს თანამშრომლებად პრესანსე და არისტიდ ბრიანი იქნებიან. ამათ გარდა ჟორესის გაზეთში რუანე და ზოგიერთი სხვა დეპუტატიც მიიღებს მონაწილეობას. ამ გაზეთის გამოსაცემად 700 ათასი ფრანკია შეკრებილი.

შრომის კერძო კონტორები საფრანგეთში

პარიზელმა პურის მცხობლებმა იქით კვირია ოთხშაბათს კრება მოახდინეს და გადასწყვიტეს, დაუყოვნებლივ საყოველთაო გაფიცვა დავიწყოთ და არ ვმუშავოთ, ვიდრე შრომის კერძო ბიუროები ყველა არ დაიკეტებაო.

მაჰმადიან სამღვდელოების აგიტაცია ოსმალეთში

მაჰმადიანთა სამღვდელოებას მეტად სწყინს, რომ დიდ სახელმწიფოების ძალ-დატანებით ოსმალეთი მაკედონიაში რეფორმების შემოღებას დასთანხმდა. გაჯავრებულმა სამღვდელოებამ დიდი აგიტაცია გამართა რეფორმების წინააღმდეგ. ამას წინად სალონიკში ადგილობრივ გუბერნატორის ბრძანებით ორი სოფტი დააპატიმრეს. ესენი ოსმალებს ქრისტიანების წინააღმდეგ აღელვებდნენ თურმე. ევროპიელებმა ძლიერ მოიწონეს ესეთი ღონისძიება, იქმნება სასტიკობამ მაინც შეაშინოს მაჰმადიანი სამღვდელოება და პროპაგანდაზე ხელი ააღებინოსო. მაჰმადიანთ სამღვდელოება უქადაგებს ხალხს, ევროპის სახელმწიფოებს ნება არა აქვთ ოსმალეთის საქმეში ერეოდნენ და მაკედონიაში რეფორმებს აწესებდნენო, მაკედონიას ნელ-ნელა სულაც ჩამოართმევენ ოსმალეთსაო. ეხლა გამოირკვა, რომ სამღვდელოებას სალონიკში მთელი შეთქმულობა გაემართა. ორის დატუსაღებული სოფტის გარდა შეთქმულობაში ბევრი სხვა მუსულმანი სამღვდელონი ერივნენ თურმე.

ახალი ამბავი

✦ **ფოთი.** 18 დეკემბერს, ქალაქის მოურავმა ნ. ნიკოლაძემ პეტერბურგიდან დეპეშით შეატყობინა თავის მოადგილეს ი. ფანცხავას: „გუშინ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა გამომიცხადა, რომ გურია-სამეგრელოს საეპარქიო კათედრის გადატანა ფოთიდან ბათუმში შეჩერებულია და ეს საკითხი დიდ ხანს არ გადაწყდებაო“.

◆ **„ნოვოსტ“-ში ვკითხულობთ:** „22 დეკემბრისთვის ერევანში დანიშნულია განსახილველად საქმე იმ წინააღმდეგობის შესახებ, რომელიც მოხელეებს გაუწიეს უმაღლეს ბრძანების სისრულეში მოყვანისა და სომეხთა საეკლესიო ქონების ჩამორთმევის დროს. მოსკოვიდან ბრალდებულთა დასაცველად მიდიან ნაფიცი ვექილები შტალ, ტინსენკო და სხვანი“.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 7 დეკემბერს პეტერბურგში გაიმართა საღამო **ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.** საღამოს 300 მანეთი ზარალი მიუცია. როგორც გვატყობინებენ, მიზეზი ისა ყოფილა, რომ საღამო ვერ გაიმართა სათავად-აზნაურო საკრებულოს დარბაზში, როგორც განზრახული იყო. სამის დღის წინად საღამომდე ქართველი სტუდენტები იძულებული შეიქმნენ, საღამო სხვაგან გაემართათ. იანვარში იმავე სტუდენტების სასარგებლოდ გაიმართება ბალი.

◆ ქუთაისის გუბერნიიდან დაბრუნდა აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი. ახალ-სენაკსა, ზუგდიდსა, ოზურგეთსა და სოხუმში ბ-ნ ტიმოფეევს მოლაპარაკება ჰქონდა ადგილობრივ ადმინისტრაციასა და მემამულეებთან სიმინდის **პეპელასთან საბრძოლველ** საშუალებათა შესამუშავებლად. სხვათა შორის, საჭიროდ სცნეს საუბრების გამართვა სოფლად.

◆ გუშინ, 19 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის მოურავმა მისწერა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს, თვალ-ყური ადევნოს, რომ სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ვაჭრობის წეს-რიგს **ქალაქის ბაზრებში.** აგენტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ ვაჭრებმა საქონელი თუ სანოვაგე ქუჩებისა და მოედნების იმ ადგილებში არ გაიტანონ, სადაც აღკრძალულია ვაჭრობა. ნება არ უნდა მიეცეს აგრეთვე ვაჭრებს, თავიანთი საქონელი დუქნების წინ ქვა-ფენილზე გაიტანონ ან კედლებზე ჩამოჰკიდონ.

◆ როგორც ვწერდით, ტფილისის **მოქალაქეთა გამგეობაში** სარევიზიო კომისიამ დიდი უწესოებანი აღმოაჩინა. სარევიზიო კომისიამ განიზრახა მოიწვიოს საგანგებო კრება მოქალაქეთა დეპუტატებისა და აუწყოს ყოველივე ეს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 18 დეკემბრის სხდომაზე განიხილა კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ინსტრუქციისა, შედგენილი **ქალაქის გამგეობის სახელმძღვანელოდ.** გამგეობამ მცირე ცვლილება შეიტანა და დაადგინა, წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს.

◆ ტფილისის **ვაჭართა საზოგადოების** დეპუტატების კრება დანიშნულია 18 იანვრისთვის. დეპუტატთა კრება განიხილავს ანგარიშს და სხვა საქმეებს.

◆ 17 და 18 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე აისორის ცოლის ანნა ტუმა-ოღლისა და იმის ნათესავის 18 წლის ჯაბრაილ აბიშ-ოღლისა. ამათ ჰბრალდებოდათ აისორის პირა ტუმა-ოღლის მოკვლა. ჯაბრაილ ამ ტუმა-ოღლისთან შეგირდათ იყო. ცოლსა და შეგირდს ერთმანეთი შეჰყვარებიათ. საქმე იქამდე მისულა, რომ ერთ ღამეს ცოლმა და იმისმა საყვარელმა მოჰკლეს პირა ტუმა-ოღლი. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა კატორღაში გაგზავნა: ანნას—10 წლით, ხოლო ჯაბრაილს—4 წლით.

◆ ტფილისის ვაჭართა მოურავმა გუშინ სთხოვა ქალაქის გამგეობას, აცნობოს რამდენი შემოუვიდა ქალაქს 10% გადასახადისა სამრეწველო მოწმობების გაცემის დროს. ვაჭართა მოურავს ეს ცნობები სჭირდება 1903 წლის შემოსავლის ანგარიშის შესადგენად.

◆ 22 დეკემბერს ტფილისის ქალაქის საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს მოხსენებას იმ კომისიისას, რომელსაც უნდა გამოერკვია, ირ. ფურცელაძემ მართლა მიითვისა თუ არა ქალაქის ადგილი.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ წერილობით მიჰმართა ტფილისის, ბაქოს, ბათუმის, ფოთის, ერევნისა და განჯის ქალაქის გამგეობათ, რომ შეატყობინონ, რაც შეიძლება მალე, ამ ჟამად არსებული კაპიტალიზაციის პროცენტი ქალაქის უძრავ მამულების ღირებულობის გამოსაანგარიშებლად.

◆ ქუთაისში შეშა ძლიერ გაძვირდა. რამდენსამე კაცს ჩაუგდია ხელში შეშით ვაჭრობა და როგორც სურთ, ისე ჰყიდიან. ამ გარემოებამ აიძულა ქალაქის გამგეობა, რომ მიემართა ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის თხოვნით, შეგვატყობინეთ, რა ღონისძიება იხმარა ქალაქის გამგეობამ, რომ შეშის ფასები მოეწესრიგებინა, ან თუ რამ სავალდებულო დადგენილება გამოსცა შეშის გაყიდვის შესახებაო.

◆ ამ წლის 9 ოქტომბერს დიმიტრი მაქსიმეს ძეს რუსიეიშვილს მიუბარებია ევროპიულ ტანსაცმელების მკერვალის ეფრემ ჭეიშვილისთვის 10 წლის ქალი ლიუბა. 24 ოქტომბერს ბავში სადღაც გამქრალა და მას შემდეგ აღარა სჩანს. ამბობენ, ვითომც მას წინა დღეებში უნდა ეკითხოს ჭეიშვილის ბავშებისათვის, თქვენი სახლიდან შეიძლება თუ არა ვოკზალზე წასვლაო. ბავშს ეს ორი თვეა დაეძებენ ქუთაისში, ბათომში და ამ ორ ქალაქს შუა მდებარე სადგურებზე, მაგრამ მისი ასავალ-დასავლის ვერაფერი გაუგიათ. საჭიროა, სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ ეს ამბავი, რომ იქნება სადმე აღმოჩნდეს ბავში და მშობლებს დაუბრუნონ.

◆ ამ ორი დღის წინად ჰანტურაიას მეეტლეს ჩაჯდომიან ეტლში მოქეიფე ძმა-ბიჭები. მთელი დღე უტარებიათ; საღამოს მეეტლე წაუყვანიათ გეგუთის ქუჩაზე, სადაც მოუკლავთ, ჩაუგდიათ ეტლში და უპატრონოდ გაუშვიათ ცხენები. როგორც ამბობენ, ერთი მკვლელთაგანი უკვე დაუჭერიათ.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც სასტატისტიკო ცნობებიდან სჩანს, მთელს რუსეთის იმპერიაში 84,544 სახალხო სკოლა ყოფილა. აქედან საერო-განათლების სამინისტროს ექვემდებარება 40,131 სკოლა, სასულიერო უწყებას—42,588 სკოლა. სოფელში ყოფილა 73,006 სკოლა და ქალაქში—9194 სკოლა. სახალხო სკოლებში სწავლობდა 3,291,694 ვაჟი და 1,203,902 ქალი. მასწავლებელი იყო 172 ათასი. ამ სკოლების შენახვა ჯდება 50 მილიონ მანეთამდე. აქედან ერობები ხარჯავენ 11,484,134 მან., ხაზინა—10,372,653 მან. სოფლის საზოგადოებანი—8 მილიონ მანეთს.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუმუშავებია ახალი პროექტი სათემო (ВОЛОСТНОЙ) სასამართლოების შესახებ. ამ პროექტით განზრახულია, როზგით სასჯელი შეზღუდონ. ჰფიქრობენ როზგით ისინი დასაჯონ ხოლმე, ვინც 35 წლისაზე უმცროსია.

◆ ქალთა უმაღლეს კურსების დაარსება ყაზანშიაც განუზრახავთ. 8 დეკემბერს ამ საქმის გამო მოსალაპარაკებლად კრება ჰქონიათ ადგილობრივ უნივერსიტეტის პროფესორებსა და მასწავლებლებს. აარჩიეს ორი კომისია საქმის მოსაწყობად.

◆ წყალში განსაცდელისაგან გადამრჩენელ რუსეთის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ დაბალ და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთათვის (ვაჟებისა და ქალებისათვის) სავალდებულო იყოს ცურაობის სწავლება სკოლებში.

◆ როგორც „პრავო“ გადმოგვცემს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი, რომლის ძალითაც ქალაქის მოსამართლეები საგუბერნიო საკრებულოებს დაუქვემდებარონ.

◆ როგორც კიევის გაზეთები გადმოგვცემენ, 6 დეკემბერს ადგილობრივ საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში გამოკრული ყოფილა შემდეგი განცხადება: „გამგეობა აცხადებს, რომ ინსტიტუტი დაკეტილი იქნება იმ დრომდე, ვიდრე ბ-ნ მინისტრის განსაკუთრებული განკარგულება არ მოვა. ამიტომ ამ ჟამად სასწავლო ოთახები არ გაიღება. ყოველ ახალ უწესოებას შედეგად ის მოჰყვება, რომ ინსტიტუტი უფრო გვიან გაიხსნება“.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, ქართულ თეატრში წარმოადგინეს დრამა „მედეია“. მედეას როლს ასრულებდა ქ-ნი ჩხეიძე. ახალგაზდა ქალმა ჩვეულებრივ გონიერად და დაკვირვებით ჩაატარა მედეას ძნელი როლი. ზოგიერთ მოქმედებაში დამსწრე საზოგადოებას ძალიან მოეწონა მსახიობი ქალი. გედევანოვი, შალიკაშვილი და სვიმონიძე ხელს უწყობდნენ ქ-ნ ჩხეიძეს. ახალგაზდა კრეუზას როლს ასრულებდა ქ-ნი მდივანი.

კვირას, 21 დეკემბერს, ქართულ თეატრში იმეორებენ იბსენის კომედიას „ექიმ შტოკმანს“.

—

საინტერესო ამბავს გადმოგვცემენ რუსული გაზეთები. მოსკოვში სდგება განსაკუთრებული დასი დასავლეთ ევროპაში სამოგზაუროდ და წარმოდგენების გასამართავად. ეს დასი ყველგან ერთად-ერთი პიესას წარმოადგენს—თავ. ა. ი. სუმბათაშვილის ახალ დრამას „ღალატს“. ამ საქმის მეთაურები არიან ნიჟეგოროდელი ანტრეპრენერი ბასმანოვი და სათეატრო საზოგადოების იურისკონსულტი პუტიატა.

სასამართლო

მარტყოფისა და ზედაზნის მონასტრების გაძარცვა

(გაგრძელება *)

შემდეგ გამოძიებით აღმოუჩენიათ, რომ 30 მაისს „პურ-ღვინო“-ში მისულა თავართქილაძე და როცა შეუტყვია მსახურ ებრალიძისაგან, რომ თოხაძე და თოიძე იქ არ მისულა, შეუხვევია ნომრის მომსამსახურე ხანთაძესთან, რომელთანაც ყველა ზემოდ დასახელებულთ კარგი განწყობილება ჰქონიათ. ცოტა ხნის შემდეგ იქვე მოსულან თოხაძე და თოიძეც. თოხაძეს მოუტანია თან ხურჯინი, რომელშიაც ხანთაძეს შეუნიშნავს, სხვათა შორის, პური. მამულაიშვილს, თოხაძეს, თოიძეს და თავართქილაძეს უთქვამთ აქ, რომ სასეირნოდ მივდივართ მამა დავითის გორაზე, „განდეგილ“-ში, სადაც უნდა მისუყვნენ აგრეთვე ცეცხლაძე, დოლიძე და თოთიბაძე. შემდეგ უნდა გავემგზავროთ სადღაც მონასტერში, მაგრამ ჯერ ნავთლუხამდე რკინის გზით ჩავალთ და იქა ვნახავთ ვიღაც გიორგი კახელს, ხელობით მეურმეს, რომელმაც მონასტრის გზა იცისო. სხვათა შორის, გიორგი კახელზე ამბობდნენ, კაცის მკვლელია და იმალებაო. ამ ლაპარაკისათვის ხანთაძეს ყურადღება არ მიუქცევია, რადგან ჰგონებია, სადღაც სალოცავად მიემგზავრებიანო. 30 მაისს ებრალიძეს უნახავს, რომ ყველა ზემოდ აღნიშნულნი მამა დავითის გორაზე მიდიოდნენ. იაკობ და მარიამ მაზმანოვებს უნახავთ, რომ იმავე დღეს საღამოთი 8—10 ყმაწვილი კაცი ქეიფობდა „განდეგილ“-ში. 31 მაისს „პურ-ღვინო“-ში აღარ მისულან არც მამულაიშვილი, არც თოხაძე და არც სხვანი. 1 ივნისს „პურ-ღვინო“-ში მისულა ჯერ თოიძე, თოხაძე და მამულაიშვილიც. ამასთან მოსამსახურეებს შეუნიშნავთ, რომ მამულაიშვილს, თოხაძეს და სხვათ ყოველთვის სუფთად ეცვათ ტანთ და ეხლა-კი გამტვერიანებულნი იყვნენ. გარდა ამისა ერთი დღის წინად იმათ პურის ფული არა ჰქონდათ და ეხლა-კი ფულიც აღმოაჩნდათ. თოხაძეს უნახეს ორი ოქროს

ფელეტონი

ჩვენი ხალხი და ქართულ პრესსის მოვალეობა

I

საზოგადოებრივი ჯგუფნი

ვინც დაჰკვირვებია მოწინავე ერთა კულტურულ ცხოვრებას, ის, უეჭველად, ერთ საინტერესო მოვლენას შენიშნავდა: ეს არის ჟურნალ-გაზეთების პარტიებად დაყოფა—დანაწილება და თითოეულ იმათგან განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასის ინტერესების დაცვა და ცხოვრებაში გატარება. რამდენადაც რთულია დაწინაურებულ ხალხთა საზოგადოებრივი ურთიერთობა და მათში წარმომდგარ კლასთა ეკონომიურ ინტერესების სხვა და სხვაობა, იმდენადვე თვალსაჩინოა გაზეთების პარტიებად დანაწილება და ძლიერი მათი ურთიერთ შორის გამართული ბრძოლა და წინააღმდეგობა. პრესსა ცხოვრების სარკეა, რომელიც ხატავს რეალურ მოვლენათ და ბარომეტრივით მგრძნობიარედ აღნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრების მოძრაობას, მის განვითარებას და განსაზღვრულ მიმდინარეობას. თუ საზოგადოებაში არსებობს, ეკონომიურ ინტერესების მხრით, ხალხის ჯგუფებად დაყოფა, სწარმოებს ბრძოლა, არის მოქმედებისა და მისწრაფების მრავალფეროვანობა, ცხადია, ამგვარ საზოგადოების პრესსაშიაც გამოიხატება იგივე ბრძოლა და მიმართულების სხვა და სხვაობა.

მართალია, თანამედროვე სახალხო მეურნეობაში ხალხის ყველა წევრნი ერთმანეთზე არიან ეკონომიურად გადაბმული,—მათ შორის არსებობს კავშირი მტკიცე, დამოკიდებულება სოციალური, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მათში იყოს შეთანხმება თავისუფალი და სოლიდარობა ჰარმონიული. არა, კავშირსა და დამოკიდებულებასთან ერთად სხვა და სხვა კლასებს შორის არის ანტაგონიზმი ჩუმი თუ გამოცხადებული, ბრძოლა ცხარე და გამუდმებული. ფაბრიკანტს ესაჭიროება მუშა, ისე როგორც მუშას—ტეხნიკა კაპიტალისტის; მომხმარებლისთვის საჭიროა სხვა და სხვა ნაწარმოები და ვაჭრისთვის მუშტარი,—საქონლის გამსაღებელი; ქალაქის მრეწველობა თხოულობს მრავალ მუშა ხალხს და, მაშასადამე, საჭიროებს სოფლის მეურნეს,—ბაზრისათვის პურის მწარმოებელს; ხელოსანი ხმარობს ბევრ ფაბრიკულ ნაწარმოებს, მაგრამ ამასთანავე ეწევა ხელოსნურ წარმოებას თავისუფალს, ფაბრიკისგან დამოუკიდებელს. ეს და სხვა ბევრი ამგვარი გარემოება მოასწავებს კავშირს და და დამოკიდებულებას, მაგრამ არა —თანხმობას და სოლიდარობას. მუშა ეძებს მეტ ქირას, მრეწველი მეტ მოსაგებს; მომხმარებელი საქონლის გაიაფებას, ხოლო ვაჭარი კონკურენციის შემცირებას და ფასის აწევას; სოფლის მეურნე პურის ძვირად გაყიდვას, ხოლო ქალაქის მრეწველი მცირე ქირის მუშა ხელს და ამისთვის სამეურნეო ნაწარმოებთა გაიაფებას; ხელოსანი შეტრფის დამოუკიდებელ არსებობას, მაგრამ მრეწველობა ავიწროებს ტეხნიკას და ამით ართმევს მას ბაზარს და თავისუფლად ცხოვრების საშუალებას. ცხადია, ეს ნიშნავს ინტერესთა განხეთქილებას. იგი არსებობს რეალურ ცხოვრებაში და აქედან გადადის ცხოვრების აღმბეჭდელ და გამომხატველ პრესსა—მწერლობაშიც.

ამიტომაც ევროპის გაზეთები მრავალ პარტიებად არიან დაყოფილი და თითოეულს იმათგან აქვს პროგრამა განსაზღვრული და მიმართულება გარკვეული. იქ არის პრესსა, რომელიც იცავს მსხვილ მემამულეებს და მაღალ არისტოკრატიას, არის ისეთიც, რომელიც ემსახურება წვრილ გლეხობას და სოფლის დაბიო ხალხს. ასევე თავის ინტერესთა გამომხატველი გაზეთები აქვთ მუშათა კლასს, მსხვილ და წვრილ ბურჟუაზიას—ფაბრინკანტებს, ვაჭრებს, ხელოსნებს და სხვათ. თითოეულ გაზეთს მკითხველთა განსაზღვრული წრე ჰყავს, რომელიც გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფს ეკუთვნის და ეკონომიურ ინტერესების მხრით სოლიდალურ ერთეულს წარმოადგენს. ყველა გაზეთი ამა თუ იმ ჯგუფის მოთხოვნილებებზეა დამყარებული, —თავის მკითხველებში ჰკრეფს იგი თავის ძალას, იძენს მხნეობას და საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ერთის სიტყვით, გაზეთი კი არ ჰქმნის იქ ხალხის მიმართულებას, არამედ პირიქით, თვითონ ხალხი, მკითხველთა წრე, თავისი სოციალურ მდგომარეობით და მოთხოვნილებით აძლევს გაზეთს შინაარსს და იდეიურ განსაზღვრულობას. რამდენადაც დიდია ძალა და საზოგადოებრივი როლი იმ კლასისა, რომლის ინტერესებსაც ესა თუ ის პრესსა იცავს და ემსახურება, იმდენადვე მეტია ამ პრესსის ცხოველმყოფელობა, სოციალური გავლენა და მნიშვნელობა.

რას წარმოადგენს ამ მხრით ჩვენი ცხოვრება? აი საკითხი, რომელსაც გვინდა ჩვენ შევეხოთ დღეს გაკვრით, ხოლო შემდეგში, თუ „გარემოებამ“ დაგვანება, უფრო ვრცლად და დაწვრილებით.

რა თქმა უნდა, საქართველო ევროპა არ არის, და შეცდომა იქნება კულტურით დაწინაურებულ ქვეყნის წახედულობით ჩვენს ცხოვრებასაც სავსებით ის მოვლენანი მივაწეროთ, რომლებიც თუმცა სასურველია, მაგრამ ნამდვილად-კი ჩვენში არ მოიპოვება. საზოგადოებრივი დიფერენციაცია, დანაწილება, რომელიც ევროპის ხალხებში დღეს უკიდურესობადის არის განვითარებული, ჩვენში იმ ზომით და სიდიდით არ არსებობს და ამიტომ მარტო იქაურ მაგალითით ჩვენს შესახებ არაფრის დამტკიცება და დასაბუთება არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ ცხოვრების პირობათა გარკვევა და გათვალისწინება.

საუბედუროდ, ჩვენი ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ ისე ცოტა და სუსტი მასალები მოიპოვება, რომ, რა საგანიც უნდა აიღოთ, მეცნიერულის სისწორით აზრის დასაბუთება და დასკვნის შედგენა მეტად ძნელია და ხშირად შეუძლებელიცაა. მაგრამ, სამაგიეროდ, არის ზოგიერთი ისეთი მოვლენა, რომელიც ყველასათვის ისე თვალსაჩინო და ცხადია, რომ მის დასამტკიცებლად ბევ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2357.

ფული, მამულაიშვილმა ებრალიძეს გადაუხადა ვალი 2 მან. და სხვ. ამ ცნობების მოკრების შემდეგ პოლიციას ეჭვი აუღია მამულაიშვილსა, თოიძესა, თავართქილაძესა, ცეცხლაძესა, თოთიბაძესა და დოლიძეზე. ამასთანავე დოლიძის დაჭერის დროს გამორკვეულა, რომ წმ. ანტონის მონასტრის თავდაცემის შემდეგ, დოლიძე გამოგონილის გვარით (გურიელი, ბერიძე, უცნაური) გამგზავრებულა გორის მაზრაში. აქ იგი სოფლიდან სოფელში გადადიოდა, ზოგს ეუბნებოდა, სემინარიელი ვარ არეულობის დროს გამორიცხულიო, ზოგს—დევნილი ვარ ადმინისტრაციისაგანაო და ამასობაში ჰკრებდა მცხოვრებთაგან ცნობებს მდიდარ ეკლესიებსა და მემამულეებზე. იგი 6 ივნისს დააპატიმრეს სად. მიხაილოვში. დოლიძის დაპატიმრების შემდეგ ზემოდ აღნიშნულნი ტფილისიდან წავიდნენ, ხოლო მამულაიშვილი და ცეცხლაძე თუმცა დარჩნენ, მაგრამ ბინა გამოიცვალეს. საეჭვო პირების ძებნის დროს პოლიციას გაუგია, რომ ბრალდებულნი დაახლოვებულნი ყოფილან ნიკოლოოზ სალუქვაძესთან, რომელიც ეკატერინეს ქუჩაზე შაფრანოვის სახლში სცხოვრობდა. თოიძე, თოხაძე და თავართქილაძე ხშირად იმყოფებოდნენ სალუქვაძისას, ხოლო მამულაიშვილი კიდეც სცხოვრობდა იმასთან ერთად რამდენსამე ხანს. შაფრანოვის სახლის მეეზოვეს შეუნიშნავს, რომ ორი-სამი დღის წინად წმ. ანტონის მონასტრის გაძარცვამდე და 3—4 დღის შემდეგ გაძარცვისა სალუქვაძესთან მოდიოდნენ ვიღაცეები ასე 6—7 კაცი, ესენი სალუქვაძესთან იკრიბებოდნენ. 12 ივნისს, ღამე, სალუქვაძის სახლი უეცრად გაჩხრიკა პოლიციამ. იმ ოთახში, სადაც ეძინა მამულაიშვილს, ბუხარში ნახეს საათის ძეწკვი კომპასით, რომელიც ავაზაკებმა მონასტერში წაართვეს პოდპორუჩიკ ბოგდანოვს. გამოკითხვის დროს სალუქვაძეს ჯერ უჩვენებია, რომ სრულებით არ ვიცნობ მამულაიშვილსაო, მერე უთქვამს, ერთი წლის წინად ვხედავდი ჩემს ტრაქტირშიო და დასასრულ—არ ვიცი სად უნდა იმალებოდეს მამულაიშვილიო. ბოლოს სალუქვაძე მაინც გამოტყდა, რომ ორი კვირის წინად მამულაიშვილი სცხოვრობდა ჩემთან, წავიდა სადღაც და აღარ დაბრუნებულაო. უბნის პოლიციის ჩვენებით მამულაიშვილი სწორედ იმ დღეს ყოფილა სალუქვაძესთან, რა დღესაც სახლი გაუჩხრიკეს. „იაპონიის" ნომრების პატრონს მგელაძეს, სადაც დააპატიმრეს 12 ივნისს მამულაიშვილი, განუცხადებია, ჩემს ნომრებში მამულაიშვილი გადმოვიდა 11 ივნისს და თან მას არავითარი ნივთები არ მოუტანიაო.

სალუქვაძე მეორედ გაუჩხრეკიათ და უნახავთ იმის სახლში საეკლესიო სანთელი და გასაღები, რომელიც დაჰკარგოდა 1902 წლის გაზაფხულზე სალუქვაძის სახლის სარდაფში მომუშავე ხლესარს ვოლფადორფს. კვლევა-ძიების დროს პოლიციას გამოურკვევია, ზედაზნის მონასტერის გაძარცვაც აღნიშნულ საეჭვო კაცების საქმე უნდა იყვესო.

მოწმეს თევზაძეს განუცხადებია, 1902 წლის მარტის დასასრულს ანუ აპრილის პირველ რიცხვებში ჩემ ტრაქტირში ერთი ნომერი დაიჭირა დოლიძემ, რომელთანაც მოვიდა თავართქილაძე და იქვე ღამეც გაათია. დილით იმასთან მოვიდა მამულაიშვილი, მაგრამ დაბრუნდა უკან. იმას უკან გაჰყვა დოლიძე და თავართქილაძე. ამათ თებზაძეს სთხოვეს კლიტე და ნომერი დაჰკეტეს. იმათ წასვლის შემდეგ თებზაძეს მეორე გასაღებით გაუღია ოთახი, გაუჩხრეკია და უნახავს ფუთაში საეკლესიო ნივთები, ბარძიმები, ვარსკვლავი, წითელი აბრეშუმის ნაჭერი და სხვა ნივთები. თებზაძეს ნივთები თავის ალაგასვე დაუწყვია და მოუცდია პატრონების მოსვლამდე. მეორე დღეს პირველად მისულა მამულაიშვილი და როცა უნახავს ოთახის კარები გაღებული, გაბრუნებულა და ერთი სიტყვაც არავისთვის უთქვამს. ასევე უქნია თავართქილაძესაც, რომელიც მალე დოლიძესთან ერთად უკანვე მობრუნებულა ნომერში და ფუთაში გაკრული ნივთები წაუღია. ამასთანავე დოლიძე დამუქრებია თებზაძეს, ცოცხალს არ გადაგარჩენ, თუ ვისმე უთხარი, რაც ჰნახეო. ეს ნივთები, როგორც თვით დოლიძე გამოტეხილა, სხვებთან ერთად 15 მარტს, ღამე მოუპარავს ზედაზნის მონასტრიდან. როცა დოლიძე უჩვენებიათ მამა იონასა და დოდოსათვის, მათ უცვნიათ იგი და უთქვამთ, ეგ ერთი იმ სამ ავაზაკთაგანია, რომელნიც 12 მაისს თავს დაგვეცნენ ზედაზნის მონასტერში და გაგვძარცვესო. ცოტას ხანს ყოყმანის შემდეგ დოლიძე გამოტყდა და განაცხადა, რომ ზედაზნის მონასტერში ქურდობა ჩავიდინე თავართქილაძესა და თოხაძესთან ერთადაო. შემდეგ დოლიძეს უთქვამს, თოხაძეზე ტყუილი განვაცხადე, ჩემთან მონაწილეობა მიიღო ერთმა ქართლელმა, სახელად ლადიკომაო. გამოძიებით აღმოჩენილა, რომ საგურამოში სახელი ლადიკო არავის რქმევია. 1903 წლის 12 იანვარს ტფილისის მაზრის უფროსთან მისულა ახალსოფლის მცხოვრები დიმიტრი მეზვრიშვილი და უთქვამს, როგორც გავიგე მიკიჩასა და ოჰანეზ ტერ-ვართანიანებისაგან, იმათ ვიღაცსათვის დაუგირავებიათ წმ. ანტონის მონასტრიდან წაღებული ნივთები და შეიძლება მათი გამოხსნა 15 მანეთადაო. თავ. ჯანდიერს მიუცია მეზვრიშვილისათვის 25 მან. მეზვრიშვილს შეუტყობინებია ვართანიანცისათვის, რომ გამოსახსნელად ფული უკვე ვიშოვეო. მეორე დღეს ტერ-ვართანიანცს წაუყვანია მეზვრიშვილი ვიღაც მარიამ თათულოვისას, რომელსაც მიუღია 15 მან. და მიუცია ტერ-ვართანიანცისათვის ფუთაში შეკრული ნივთები. გზაში ტერ-ვართანიანცი დაუპატიმრებია პოლიციას და როცა მისი სახლი გაუსინჯავთ, კედლის შკაფშა უნახავთ ბარძიმი, მისი ფეხი, ფეშხუმი, ჯვარი, ძეწკვი წმ. გიორგის ხატით, 26 პატარა ვერცხლის ხატი, 34 სხვა-და-სხვა ნამტვრევები ძვირფას ნივთებისა და სხვა საეკლესიო ნივთები. ამ ნივთების ერთი ნაწილი გამოდგა წმ. ანტონის მონასტრისა და ერთიც ზედაზნის მონასტრისა. გამოძიების დროს ტერ-ვართანიანცს განუცხადებია, ჩემთან მოვიდა ორი ბერი და ერთი ერის კაცი, რომელთაც ეს ნივთები სამ თუმანში დამიგირავესო. ერის კაცი აღმოჩნდა ნავთლუხში მცხოვრები მეურმე გიორგი აღნიაშვილი. მოწ. ქობულაშვილს და მოწმე მიხეილ მაისურაძეს განუცხადებიათ, რომ 1902 წ. ზაფხულში გიორგი აღნიაშვილთან ერთად ვმუშაობდით გალუსტოვის ეზოში. მიწის თხრის დროს ვნახეთ მიწაში ჩაფლული ხურჯინი, რომელიც სავსე იყო საეკლესიო ნივთებით. როცა ვკითხეთ, ვისია ეს ნივთებიო, აღნიაშვილი გამოგვიტყდა: ეს ნივთები ჩემია. ხალხში გავრცელებულმა ხმამ, ვითომ წმ. ანტონის მონასტერი მდიდარი იყოს, წამაქეზა, წაველი სხვებთან ერთად და მონასტერი გავძარცვეთ. ფულები ეკლესიაში არ აღმოჩნდა და ამიტომ იქიდან წამოვიღეთ საეკლესიო ნივთებიო. გამოძიებას გამოუკვლევია, რომ აღნიაშვილი ტფილისის მცხოვრებია და იმისი ნამდვილი სახელი და გვარი ტატო ივანეს ძე გაბაშვილი ყოფილა. 1892 წელს გაბაშვილი სხვებთან ერთად თავს დასცემია სურამის ხეობაში ნიკოლოოზ ჩხეიძეს, მოუკლავს და გაუძარცვავს იმისი სახლი, იმ დროდან გაბაშვილი ტფილისში აღნიაშვილის სახელით სცხოვრებდა თურმე. გაბაშვილი ძმაა იმ გაბაშვილისა, რომლის მოკვლაში ვერაზედ დამნაშავედ იცნეს ტუსიშვილი, ბარათაშვილი და სხვანი.

ყველა ზემოდ დასახელებულნი პასუხის გებაში მისცეს. პირველად გამოძიების დროს ტერ-ვართანიანცმა განაცხადა: 1902 წელს, ივნისის ბოლო რიცხვებში ნავთლუხიდან ავლაბარში მოვდიოდი. გზაში შემომხვდნენ ორი ბერი და ერთი ერის კაცი და მითხრეს: ჩვენ უნდა ექსარხოსთან მივიდეთ ჯამაგირის მისაღებად. რადგან ფული არ გვაქვს, რომ ხეირიანის ტანისამოსით გამოვცხადდეთ, ეს ნივთები 50 მან. დაიგირავე. ზოგიერთი ნივთები მონასტრიდან გვაქვს წამოღებული შესაკეთებლადო. არ ვიცოდი, თუ ეს ნივთები ყაჩაღობით იყო მოპოვებული და მივიღე გირაოდ 30 მანეთად. შემდეგ მე თვით დამჭირდა ფული და თათულოვისას 15 მანეთში დავუგირავე რამდენიმე ნივთიო. გიორგი გაბაშვილს განუცხადებია: 1901 წელს, აგვისტოში, გავიცანი ივანე თოთიბაძე და წაველი მასთან ერთად ბაქოში. ამასთან ვასესხე 15 მანეთი. შემდეგ თოთიბაძე ნავთლუხში ჩემთან ხშირად მოდიოდა. 1902 წ. გაზაფხულზე იგი მოვიდა ჩემთან და მთხოვა მონაწილეობა მიმეღო წმ. ანტონის მონასტრის თავ დაცემასა და გაძარცვაში. უარი განვაცხადე, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ მოვიდნენ თოთიბაძე, ირაკლი თოიძე და გრ. მამულაიშვილი და გამიმეორეს იგივე წინადადება წმ. ანტონის მონასტრის გაძარცვის შესახებ. კიდევ უარი ვსთქვი. შემდეგ მოვიდნენ ჩემთან თოიძე და რაჟდენ ცეცხლაძე, უკვე შეიარაღებულნი და მითხრეს, მივდივართ ეს არის მონასტრის გასაძარცვავათ და წამოდი, ამხანაგები სასაფლაოზე გველოდებიანო. ამასთანავე თოიძემ მთხოვა თოფი, მაგრამ არ ვათხოვე. სასაფლაოზე ვნახე თოთიბაძე, მამულაიშვილი, თოხაძე, თავართქილაძე და დოლიძე. მე კიდევ უარი განვაცხადე, მაშინ გამომეთხოვენ და წავიდნენ მონასტრისაკენ. ერთის დღის შემდეგ ჩემთან მოვიდნენ თოხაძე და ცეცხლაძე და მომიტანეს ხურჯინი, გატენილი საეკლესიო ნივთებით, და მითხრეს, შეგვინახეო. ერთის თვის შემდეგ, როცა მიწის თხრის დროს ქობულაშვილმა და მაისურაძემ ეზოში ხურჯინი იპოვნეს, მე შევფიქრიანდი. მაშინვე გავიქეცი თოიძესა და მაისურიძესთან და ვუთხარ, წაიღოთ მობარებული ნივთები. ტერ-ვართანიანცისათვის მე ნივთები არ დამიგირავებიაო.

თოთიბაძეს გამომძიებლისათვის უთქვამს: 18 მაისს ჩემი საქმეებისა გამო ბაქოში წაველი, სადაც 3 ივნისამდე დავრჩი. შემდეგ ბორჯომში გავაცილე ექიმის ელიაშვილის სახლობა და 6 თუ 7 ივნისს ისევ ბაქოში დავბრუნდი. ამ საქმეში არავითარი ბრალი არა მაქვს და თუ გაბაშვილმა ჩამითრია, ეს იმიტომ, რომ იმისგან 15 მანეთი ვისესხე და აღარ დამიბრუნებიაო. ცეცხლაძემაც თავი დამნაშავედ არ იცნო. ბრალდებული დოლიძე (აწ გადაცვალებული) გამომძიებელთან გამოტეხილა, რომ მე თავართქილაძესა და ქართლელ ლადიკოსთან ერთად მონაწილეობა მივიღე ზედაძნის მონასტრის ჯერ გაქურდვაში. მეორედ ჩემთან თავართქილაძის გარდა თოხაძემაც მონაწილეობა მიიღო ქურდობაშიო. მოპარული ნივთები წავიღე ჩემს ბინაზე, მეტრაქტირე თებზაძის სახლში. თებზაძეს გაეღო ჩემი ოთახის კარები და მგელაძესთან ერთად შესულიყო, გამოეტანა ის ნივთები და შემდეგ ჩემთვის აღარ დაუბრუნებიათო. წმ. ანტონის მონასტრის გაძარცვაში მონაწილეობა არ მიმიღია, გაბაშვილს ჩემს დღეში არ შევხვედრივარ და არ ვიცი, საიდან მომიგონა ეს ამბავიო. თოხაძემ განაცხადა: 1902 წელს, 31 მაისს მამადავითის გორაზე ვიყავი ჩემს მობინადრეებთან ორმოცაძესა და ლობჯარიასთან და ნაცნობ ჟორჟიკაშვილთან ერთად. 10 ივნისს წაველი გურიაში, შემდეგ პიატიგორსკში საზაფხულოდ და იქ დავრჩი. გაბაშვილს არ ვიცნობ და ჩემს დღეში მე იმას არ შევხვედრივარო.

მამულაიშვილმა სთქვა: ჩემ ოთახში ნახული ბოგდანოვის საათის ძეწკვი მაჩუქა დოლიძემაო. დოლიძემ მითხრა, ძეწკვი ოქროსია, მაგრამ როცა სახლში მოვედი და გავსინჯე, უბრალო აღმოჩნდა და საწოლზე დავაგდეო. სალუქვაძემ სთქვა: ვაჭარი კაცი ვარ და საერთო არა მაქვს-რა ბრალდებულებთანაო. საიდან გაჩნდა ჩემს სახლში ძეწკვი, არ ვიცი. ვფიქრობ, იგი მამულაიშვილს უნდა მიეტანოს, რადგან იგი ჩემს ბუფეტში მსახურებდა და ჩემს სახლში ღამეს ათევდა ხოლმეო.

(დასასრული იქნება)

წერილი თელავიდან

სასწავლებელთა სიმცირე და სწავლის მსურველთა სიმრავლე.—ქალაქის ხმოსნების მსჯელობა და საკვირაო სკოლა.

მგონი, ყველას მოეხსენება, რომ თელავში ძველ დროიდან არსებობს ერთი ქალთა სასწავლებელი—წმ. ნინოსი, და ორი ვაჟთა—სასულიერო და საქალაქო. ამ რამდენისამე წლის წინად დაარსდა ქალთა ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა და ფერისცვალების ეკლესიასთან ვაჟთათვის უმცროს განყოფილებიანი სამრევლო სკოლა, ამას გარდა არსებობს ქ-ნ შიუკაშვილების ქალ-ვაჟთა კერძო მოსამზადებელი სკოლა. მორჩა და გათავდა. მცხოვრებთა რიცხვი შესამჩნევად მატულობს, ეხლა თელავში 12 ათასამდე მცხოვრები ითვლება. ხალხი მრავლდება, სწავლის წყურვილი იზრდება და ზემოდ ჩამოთვლილი სკოლები-კი ვერ აკმაყოფილებენ აწინდელ მოთხოვნილებას. ბევრი იძულებულია კერძო სახლებში ატაროს შვილი წერა-კითხვის სასწავლებლად, რადგან სკოლაში, უადგილობისა გამო, ვერ მიუღიათ. ზოგი-კი სკოლის გარედ დატოვებულს პირდაპირ დუქანში ან სხვაგან სადმე ხელობაში უკრავს თავს. ასეთი სურათები მეორდება ყოველ შემოდგომობით სასწავლებლებში სწავლის დაწყების დროს. ამას ღარიბ, ხელ-მოკლე მცხოვრებლებზე ვამბობ, თორემ შეძლებულნი პირდაპირ ტფილისსა ან სხვა ქალაქის საშუალო სასწავლებლებში აწყებინებენ სწავლას თავიანთ შვილთ. ზაფხულობით იმდენი აქაური მოსწავლენი რეალისტ-გიმნაზისტები შეიკრიბებიან ხოლმე, რომ უნებლიედ ეკითხები შენს თავს: განა თელავში—კახთა დედა ქალაქში ერთი პროგიმნაზია არ უნდა არსებობდესო? მაგრამ ამაზე ოცნებაც-კი ადრეა, როგორცა ვხედავთ თელავის თვით მმართველობის ფინანსებს. იმათზე-კი მოვალენი არიან იზრუნონ, რომელნიც უადგილობის გამო სკოლის გარედ რჩებიან, სხვაგან გზა-კვალი აღარ აქვთ, სწავლას გზას უქცევენ და საბოლოოდ უვიცნი ხდებიან. ამის მაგივრად აი რასა ვხედავთ: ქალაქის რწმუნებულთა უკანასკნელ კრებაზე მამასახლისმა მოახსენა, სახალხო სკოლების ინსპექტორმა დამავალა მომეხსენებინა თქვენთვის, რომ რადგან სასწავლებელთა სიმცირეა, ბევრ სწავლის მსურველს ეუბნებიან უარს უადგილობისა გამო და სასწავლებლის კედლებს გარედ ანარჩუნებენ, ამისთვის აზრადა ჰქონიათ პირველ დაწყებითი ორ-კლასიანი სკოლის დაარსება თუ ქალაქი ყოველ წლივ შემწეობას აღმოუჩენს 150 ან 200 მანეთით. სამაგიეროდ სკოლაში 30% მოქალაქეთა უღარიბეს-

---

რი საბუთების ძებნა მაინცა და მაინც საჭირო არაა. ერთი ამგვარი ცხადი მოვლენაა—ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი ცხოვრების შესამჩნევი ცვლილება და მისი მოქალაქეობრივობის გზაზე დაყენება. ჩვენი ხალხი დღეს ისე აღარ ცხოვრობს, როგორც ამ 50 წლის წინად ცხოვრობდა, და იმით ვეღარ კმაყოფილდება, რასაც მაშინ სჯერდებოდა. ქართველ ხალხის ცხოვრების ერთად-ერთ სახსარს დღეს სასოფლო-მეურნეობა აღარ შეადგენს. უკანასკნელ ხანებში მომხდარმა ცვლილებამ იგი იძულებულ-ჰყო სხვა საქმეებისათვისაც მოეკიდა ხელი და მიწის ნაკლელობა სხვა გვარ მოქმედებით და მომჭირნეობით შეევსო. თან და თან გამოვიდნენ ქართველთა წრიდან ელემენტები, რომლებიც ვაჭრობა-მრეწველობის ასპარეზს დაადგნენ და ხელობად გაიხადეს. ამ სახით ევროპიული საეკონომიო დიფერენციაცია ჩვენშიაც არის დაწყებული, მხოლოდ არაა გაზრდილი და განვითარებული. ვაჭრობისა და მრეწველობის ასპარეზზე გამოსულ ქართველ ელემენტს ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია შესამჩნევად ვერც რიცხვით გამრავლება და ვერც ნივთიერ ქონებით გამაგრება. ჯერ-ჯერობით ქართველებში იშვიათად მოიპოვებიან მსხვილი ვაჭრები და მრეწველები. საერთოდ ვაჭრობასა და მრეწველობაში მომქმედი ნაწილი ქართველობისა თითქმის სულ „წვრილი ხალხისაგან" შესდგება: ესენი არიან წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, ნოქრები, დღიური მუშები თუ შინა-მოსამსახურენი.

არც ერთი აქ ნახსენები ჯგუფი სათითაოდ არ არის რიცხვით შესამჩნევად მრავალი. 1886 წლის აღწერით მოქალაქენი შეადგენდნენ ხალხის საერთო რიცხვის 10,26%-ს ტფილისის გუბერნიაში და 5,46%-ს ქუთაისისაში (1897 წ. 14,4%-ს ორივე გუბერნიაში). უეჭველია, პირველი გუბერნიის 10 პროცენტში ქართველობას ძალიან ცოტა წილი უდევს სხვა ეროვნების ხალხთან შედარებით. 1893—1896 წ. მთელს საქართველოში იყო 27695 ხელოსანი ანუ 1,35% ხალხის საერთო რიცხვისა. აქედან ოსტატი 13109, ქარგალი 5565 და შეგირდი 9021. 1898 წ. საქართველოს ორივე გუბერნიაში იყო 13006 (1899 წ. 16582) მუშა (1782 ფაბრიკა—ქარხანაში). ამათგან 26,9% მუშაობდა ისეთ სამრეწველო დაწესებულებებში (71,3%), რომლებშიაც მუშების საერთო რიცხვი 5 კაცს არ აღემატებოდა; 24,5% იყო ისეთ სამრეწველო (24,4%), სადაც მუშების საერთო რიცხვი 10-დის აღიოდა. ამ სახით მუშების უმრავლესობა (51,4%) ისეთ წვრილ წარმოებაში მუშაობდა, რომელსაც ფაბრიკული არც კი დაერქმევა. ყველა ის 13006 მუშაც რომ ნამდვილ ფაბრიკის მუშებად ჩავთვალოთ, მათი რიცხვი მხოლოდ ხალხის საერთო რიცხვის 0,73%-ს შეადგენს და მეტს არა. ამასთან ფაბრიკის მუშების რიცხვი ბევრად ნაკლებია ხელოსნებისაზე: ესენი შეადგენენ 64,7%-ს, ხოლო პირველნი 35,3%-ს.

ჩვენი ხალხის დიდ-ძალ უმრავლესობას დღესაც გლეხობა წარმოადგენს. 1886 წ. ტფილისის გუბერნიაში გლეხობა შეადგენდა 85%-ს, ხოლო ქუთაისისაში 86%-ს. მას შემდეგ გლეხების რიცხვმა სოფლებში იკლო, რადგან ნაწილი ქალაქებში წავიდა სამუშაოდ (დაბადებით შემატებულებზე მეტი), მაგრამ იმდენად მაინც არ უკლია, რომ იგი დღეს 80%-ზე ნაკლები იყოს. გლეხობაც, ზოგადად თუ ვიტყვით, სულ წვრილ მეურნეებისაგან შესდგება. ჩვენში არ არის ისეთი მსხვილ მესაკუთრე გლეხის (grossbauer) ტიპი, როგორიც მოიპოვება, მაგალ., გერმანიაში. მთელ ქუთაისის გუბერნიაში მიწის ისეთი სივიწროვეა, რომ იშვიათია ისეთი გლეხი, რომელსაც საკუთარი მიწა ჰყოფნიდეს დასამუშავებლად. ქართლში, სადაც მე 25 სხვა-და-სხვა სოფელში ავსწერე გლეხების მეურნეობა, გლეხ-მეურნეთა მხოლოდ 9 პროცენტს აქვს 5 დესეტინაზე მეტი მიწა, დანარჩენ 91%-ის მიწის რაოდენობა კომლზე 5 დესეტინას არ აღემატება.

უდიდესი ნაწილი მამულებისა ჩვენში ქართველ თავად-აზნაურობის ხელშია. ეს წოდება რიცხვით მცირე ნაწილია ჩვენი ხალხისა (2,89% ტფილისის გუბ. და 6,78% ქუთაისისაში). ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ ამ წოდების ყველა წევრნი უზრუნველ ყოფილნი არიან მამულით და მათს მამულის ნაკლებობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ნამდვილად კი თავად-აზნაურობა არ წარმოადგენს ერთ მთელს და ერთგვარ ნაწილებისაგან შემდგარ ორგანიზმს. ამ წოდების წევრთ შორისაც არის დიდი განსხვავება მამულიანობისა და საზოგადოდ ქონების. სახაზინო პალატის ცნობებით ტფილისის გუბერნიაში არის სულ 4701 თავად-აზნაურის მამული. აქედან ისეთი მამულები, რომლებიც სივრცით 50 დესეტინას არ აღემატებიან, შეადგენენ ახალქალაქის მაზრაში 63,70%-ს, ახალციხის მაზ.—54,49%-ს, ბორჩალ. მაზრ. 40,29%-ს, გორის მაზ.—67,94%-ს, დუშეთის მაზრ.—47,97%-ს, სიღნაღის მაზრ.—62,37%-ს, თელავის მაზრ.—61,39%-ს, თიანეთის მაზრ.—34,24%-ს, ტფილისის მაზრ.—47,11%-ს და სულ ტფილისის გუბერნიაში 57,16%-ს. ცხადია, 50 დესეტინა მიწა, რომელშიაც შედის ტყე, საძოვარი და უვარგისიც, პატრონს ვერ დააკმაყოფილებს და ყოველ შემთხვევაში ვერ მისცემს საშუალებას მარტო რენტით ცხოვრებისას. ასეთი მემამულე იძულებულია გლეხებსავით მიწის მუშაობას ხელი მოჰკიდოს და საკუთარის გარჯითა და ოფლით სარჩო მოიწიოს.

ერთის სიტყვით, ჩვენი ხალხის დიდ-ძალი უმრავლესობა მცირე შეძლებისა და ქონების პატრონია. წვრილი მეურნე-გლეხი, სრულიად ცარიელი ან მცირე. მამულიანი აზნაურობა, წვრილი ვაჭარი და მრეწველ-ხელოსანი, მუშა და ნოქარი, შინა მოსამსახურე და მცირე თანამდებობის მოხელე,—აი ის ელემენტები, რომელნიც ქართველ ხალხის უმრავლესობას წარმოადგენენ და თავისი გაუწყვეტელი შრომით და მომჭირნეობით მის კულტურულ ძალას და ეროვნულ სიმაგრეს შეადგენენ.

როგორ და რანაირად? ამას შემდეგ წერილში მოგახსენებთ.

ფ. გოგიჩაიშვილი

ნი მოსწავლენი განთავისუფლებულ იქნებიან სწავლის ფულისაგანაო. (წლიწადში სწ. ფული 12 მან. იქნება). ამ მოხსენებამ რწმუნებულთა შორის კამათი გამოიწვია. თითქმის ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ, მამასახლისის და 2 ხმოსნის გარდა. ქალაქს შეძლება არა აქვს, აუცილებელი ხარჯი თანდათან ემატება. თუ მიიღებენ, ისევ ერთ დროულად აღმოუჩინოთ შემწეობაო და სხვა. მამასახლისმა აუხსნა სკოლის საჭიროება და განუმარტა, თუ ერთ დროულად შევეწევით, მაშინ იმოდენა ჯამით, რომ ყოველ წლივ 150 ან 200 მან. მოუტანოთ სარგებლიო. კიდევ იბაასეს, მაგრამ ვერაფერი გადასწყვიტეს და შემდეგ სხდომისთვის გადასდეს. რასაკვირველია, მათი ასეთი შეხედულობა აჩქარებულია და დაუკვირვებელი. იმედია, შემდეგ სხდომაზე (22 დეკემბერს) გაითვალწინებენ სწავლის საქმეს, მშობლებთა მდგომარეობას და არა თუ დაეხმარებიან ამ სიმპატიურ საქმეს, არამედ ითხოვენ მალე განხორციელდეს. თუ როგორ აქვთ გაღვიძებული სწავლის სურვილი, საკვირაო სკოლის ცნობებიდანაც სჩანს. მათაც-კი მოუნდომებიათ წერა-კითხვის შესწავლა, ვისაც ბედმა არგუნა პირდაპირ ხელოსანთან ან დუქანში შეგირდათ მისვლა. სკოლაში ამ ჟამად 108 მოსწავლეა უმრავლესობა ბაზრიდან, ასე 10—15 წლისა. ყოველ კვირა ხალხით დაიარებიან და სწავლობენ წერა-კითხვას ქართულ-რუსულად, ანგარიშს და საღმრთო სჯულს. ამას გარდა სკოლასთან პაწია ბიბლიოთეკაა მოწყობილი, რომელიც შეიცავს უმრავლესობას პატარა წიგნაკებს წმიდათა ცხოვრებიდან. ეს წიგნაკები მოსწავლეებს მიაქვთ წასაკითხავად. საწერკალამი უფასოდ ეძლევათ, ხოლო სხვა სასწავლო ნივთები დაკლებულ ფასად. სამწუხაროდ, ფული ძალიან ნაკლებად ჰქონია, შემოსავალი ან შეწირულება არ საიდანა აქვს. სკოლის გამგედ იმყოფება ქ-ნი ნანუკოვი. მოსწავლეებთან მეცადინეობენ თექვსმეტნი. ამათგან 6 ქალიან და 10 კაცი.

დიმიტრაშვილი

დაბა-სოფლები

სოფ. საგარეჯო (გარე კახეთი). 13 დეკემბერს ვილაც ბოროტ-მოქმედმა მოჰკლა მწყემსი იასონ დარბაისლიშვილი. საქმე ასე მოხდა: სხვა ბინის ამხანაგებს დაუპატიჟნიათ თავიანთთან იასონ დარბაისლიშვილი, ასე რომ კარგა დაჰღამებია. უცბად თავის ბინიდან ძაღლების ყეფა შემოსმია წამომხტარა ზეზედ და თავის ბინისკენ გამგზავრებულა. ამხანაგების თხოვნაზე—დარჩი, ვახშამი სჭამე და ისე წადიო, უკანასკნელს უპასუხნია: წავალ, ვნახავ ბინას, გავიგებ და უკან დავბრუნდებიო. როგორც მისულა ბინასთან, ჩასაფრებულ ბოროტ-გამზრახველს უსროლია თოფი და მხოლოდ ტანისამოსი გაუგლეჯია. შიშისაგან თავ-ზარ დაცემულ იასონ დარბაისლიშვილს დაუყვირნია მოსაშველებლად მაგლობელ მწყემსისთვის. ამ დროს მეორედ გავარდნილა თოფი და ტყვია ზურგში მოჰხვედრია. მკვლელნი მაშინვე გაქცეულან. თოფის ხმაზედ მოცვივნულან სხვა ბინის მწყემსები. ოცდა-შვიდი წლის ვაჟკაცი ვეშაპივით იყო უძრავად გაშხლართული ცივ მიწაზედ. პოლიციამ ორ მწყემსზედ მიიტანა ეჭვი დაიჭირა კიდეც.

დავ. მ—ვი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 დეკემბერი

ჩიკაგო. თეატრის დაწვის დროს, პოლიციის ცნობით, 536 სული დაღუპულა, გაზეთების ცნობით კი—562; ამას გარდა 55 სული კიდევ სხვა აკლია.

ბელგრადი. ოპოზიციის პრესის წინააღმდეგ, ნახევრად ოფიციალური „სამოუპრავა“ აღნიშნავს, ის ცნობა, ვითომ მეფეს წერილი მიეწეროს შეთქმულ ოფიცრებისათვის. არაფერზე არაა დაფუძნებულიო.

ვენა. დღეს იტალიასთან დადებულ დროებითი სავაჭრო ხელ-შეკრულობის თაობაზე შეთანხმდნენ.

ტოკიო. ეხლა, როდესაც იაპონიის მთავრობამ საომრად მზადება დაამთავრა, საქმე დროებით მიწყნარდა.

კოვნო. კოვნოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მეთევზეობის მოსაწესრიგებლად ღონისძიება მიიღო.

არიოლი. ქალ. კრომში თავად-აზნაურობამ, ერობამ და სამაზრო დასესებულებათა წარმომადგენლებმა დღესასწაული გამართეს თავად-აზნაურობის წინამძღოლის შენშინის პატივსაცემლად. შენშინი 35 წელიწადია წინამძღოლადაა.

ტულა. საგუბერნიო საერობო კრება შუამდგომლობს: რკინის გზა სადგურ ვერხოვიედან ნოვოსილსკის მაზრაზე ჩრდილოეთისაკენ განაგრძონ, საქალებო სამასწავლებლო სემინარია და მებოსტნეობისა და მებაღეობის საშუალო სასწავლებელი დაარსდესო.

მინსკი. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა, გუბერნიის მდგომარეობის გამოსაკვლევად სტატისტიკური ბიურო დავაარსოთო.

პეტროზავოდსკი. საგუბერნიო საერობო კრებამ ხარჯთ-აღრიცხვაში სახალხო განათლებისათვის 86 ათასი მანათი დანიშნა.

ჩიკაგო. დაღუპულთა უმეტესობა ახალგაზრდა ქალები და ბავშვები არიან. როცა თეატრში გაზის ორივე რეზერვუარი გასქდა და მთელი შენობა გაცხელებულ გაზით გაივსო, საზოგადოებას შიშის ზარი დაეცა. დაღუპულთა რიცხვი ჯერ სწორედ არ იციან; პოლიციამ გამოაცხადა, 637 გვამი აღმოვაჩინეთო.

19 დეკემბერი

პეტერბურგი. ტაინი სოვეტნიკს შვანებახს უმაღლესად ებრძანა მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგად იყოს.

ლონდონი. პორტსმუტიდან მოსულ დეპეშების თანახმად, კრეისერების „ინტრეპოდ“ და „დიტონა“ დოკში შევიდნენ, რათა უცხოეთის წყლებში სამსახურისათვის მოემზადონ; ამბობენ, ეს კრეისერები ჩინეთს მიდიან. დიდი კრეისერი „კინგ ალფრედ“ ხვალ მიდის ჩინეთისაკენ.

ნუბლინიდან ცნობა მოვიდა, რომ სათადარიგო ფლოტის ვოლონტერთა ერთმა ნაწილმა ბრძანება მიიღო მზად იყოს გალაშქრებისათვის; ამათ კრეისერი „მელამპუსი“ წაიყვანს.

ხარკოვი. საგუბერნიო ერობამ დაადგინა 160 ათასი მანეთი მისცეს სამაზრო ერობათ სკოლებისათვის სახლების ასაგებად; ნება მისცა აგრეთვე ხარკოვის გამგეობას ისესხოს დამზღვევ თანხიდან 250 ათასი მანეთი, $1^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$-ით, 20 წლის ვადით და ეს ფული სკოლების შენობათა აგებას მოახმაროს.

ბოგოროდსკი. საერობო კრებამ აზრი გამოსთქვა: ისევ დარჩეს წოდებრივი წესი ერობაში; ნება მიეცეს მესაკუთრე-გლეხთ ერობაში მონაწილეობის მიღებისა; ეს ნება არ მიენიჭოს ქალთ და შემცირდეს საარჩევანო ცენზი. ერობამ დაადგინა აგრეთვე იშუამდგომლოს, რომ ხმოსანნი-გლეხნი, სანამ ერობაში მუშაობენ, არ დაისაჯონ ხოლმე დისციპლინურ სასჯელით.

პორტ-არტური. გაზეთი „ნორდ ჩინა დეილი ნიუს“-ი იტყობინება, ვითომ ამხანაგობა „პენისულარ ორიენტალ“-მა გადასწყვიტა დაუკლოს ტარიფი ჩინეთში მისატან და ჩინეთიდან წასაღებ საქონელზე, რათა კონკურენცია გაუწიოს ციმბირის რკინის გზას.

უკანასკნელ დროს საზღვრის სადარაჯო რუსის ჯარსა და ხუნხუზებს შეტაკება მოუხდათ სადგურ ვაფანდიანც-აისანდზიანთან. რუსებს ორი ჯარისკაცი მოუკლეს და სამი დაუჭრეს.

სტამბოლი. პორტამ მიჰმართა დღეს იტალიის მთავრობას მაკედონიის ჟანდარმერიის უფროსად იტალიელ გენერალის დანიშვნის თაობაზე.

კილი. ლიბავიდან მოვიდა კრეისერი „ალმაზ“.

პეკინი. ჩინეთის ჩრდილოეთ რკინის გზების დირექტორს გუიუფენს თათბირი ჰქონდა ადმირალ ალექსეევთან რკინის გზის გაყვანის შესახებ. ნამესტნიკმა წინადადება მისცა, გაგრძელებულ იქმნას რკინის გზა სინ-მინტიდან მუკდენამდეო. გუიუფენმა უპასუხა, ვერაფერს დაგპირდებით, სანამ პეკინის მთავრობას არ დავეკითხებიო; ამასთანავე შეეკითხა ალექსეევს, რატომ არ აასრულა რუსეთმა თავისი დაპირება და მანჯურიიდან ჯარი არ გაიყვანაო. ადმირალ ალექსეევმა ამაზე უპასუხა: რუსეთი დიდად უკმაყოფილოა ჩინეთისა, რადგან იმის მაგიერ, რომ ისმინოს რუსეთის წინადადება სხვა-და-სხვა სადავო საგნების მეგობრულად გადაწყვეტის შესახებ, ჩინეთი ყურს უგდებს იაპონიას და მტრულად ეპყრობა რუსეთს. ადმირალმა ურჩია გუიუფენს უთუოდ და ბეჯითად აუხსნას ჩინეთის მთავრობას, რამდენად საზარალო იქმნება ჩინეთისათვის ასეთი არა ბრძნული პოლიტიკური მოქმედება.

რომი. თავად ურუსოვმა გააგებინა იტალიის მთავრობას, რომ ეხლა სურვილი აქვთ ახალი სავაჭრო ხელშეკრულობა შეიმუშაონ იტალიისა და რუსეთს შორის.

კარდინალების კრებას, რომელიც ორელიას თავმჯდომარეობით მოხდა, თათბირი ჰქონდა იმის გამო, აქვთ თუ არა სახელმწიფოთ veto'ს უფლება პაპის არჩევის საქმეში. თათბირი, რომელშიაც 18 კარდინალი იღებდა მონაწილეობას, 3½ საათს გაგრძელდა. ბევრი კარდინალი იმ აზრისა იყო, რომ veto'ს უფლების არსებობას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს და ამიტომ შესაწყნარებელიც არ არისო. საქმის გადაწყვეტა შემდეგ კრებამდე გადაიდო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

დღეს, (დეკებრის 20-ს) შაბათს საღამოს 7 საათზე ჩემს სადგომში (ქვაშვეთის ქუჩა, სახლი არჯევანაძის, წიგნის მაღაზია „ცოდნა“) დანიშნულია კრება იმ პირებისა, რომელთაც, ამ ორი წლის წინათ, განსვენებული გიორგი ქართველიშვილის დაკრძალვის დროს დიდუბეში, გამოიღეს თავის წვლილი მწერალ-მოღვაწე

ივანე კერესელიძის მეგლის დასადგმელად.

რადგანაც უმეტესი ნაწილის შემომწირველთა აზრი ის არის, რომ მოხსენებული ფული 134 მან. და 25 კ. გადაეცეს „წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოებას“ ამავე მიზნის განსახორციელებლად,—ამისათვის ვსთხოვთ ამორჩეულ პირებს ბატ. **სოფრომ მგალობლიშვილს** და **სტეფანე ჭრელაშვილს** მოხსენებული ფული წარმოადგინონ კრებაზე „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისათვის“ გადასაცემად.

(უ. 1—1)

ფულის შემგროვებელი სოსიკო **მერკვილაძე**

(ВТОРОЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1904 годъ

НА ЖУРНАЛЪ

„ВѢСТНИКЪ ЗАКАВКАЗСКИХЪ Ж. ДОР.“,

выходящій 2 раза въ мѣсяцъ (1 и 15 числа каждаго мѣсяца), подъ редакціей начальника Закавказскихъ жел. дорогъ и при участіи служащихъ этихъ дорогъ.

Программа журнала:

Отдѣлъ I. Оффиціальный: 1. Перепечатка правительственныхъ распоряженій, публикуемыхъ въ Вѣстникѣ Министерства Путей Сообщенія, циркуляры управленія желѣзныхъ дорогъ и т. п. узаконенія и распоряженія высшихъ центральныхъ учрежденій, имѣющія какъ прямое, такъ и косвенное отношеніе къ Закавказскимъ желѣзнымъ дорогамъ.

2. а) Свѣдѣнія, касающіяся эксплоатаціи дорогъ: приказы объ измѣненіяхъ въ личномъ составѣ на дорогахъ, о разнаго рода довольствіи служащихъ, наградахъ, безплатномъ проѣздѣ по дорогамъ, о выдачѣ пособій, о происшествіяхъ на дорогахъ. Измѣненія и дополненія правилъ технической эксплоатаціи по отношенію службы пути, движенія и тяги, измѣненія и дополненія правилъ врачебной службы на дорогахъ. Распоряженія по коммерч. части. Мѣры, принимаемыя для упорядоченія желѣзнодор. хозяйства. Распоряженія по счетоводству и статистикѣ.

б) Свѣдѣнія о результатахъ дѣятельности дорогъ: доходы и расходы, число поѣздовъ, количество грузовъ, пробѣги поѣздовъ, вагоновъ и проч. Врачебное и санитарное состояніе дорогъ, сообщенія объ инфекціонныхъ болѣзняхъ, о числѣ больныхъ на дорогахъ и т. п. Свѣдѣнія о дѣятельности служащихъ: заработокъ и работы кондукторовъ, машинистовъ, помощниковъ ихъ, заработокъ по разнымъ ремесламъ и въ разныхъ мастерскихъ и т. п. Отчеты объ операціяхъ, въ которыхъ заинтересованы служащіе: по нагрузкѣ и выгрузкѣ товаровъ въ службѣ движенія, расходамъ топлива и другимъ, за сбереженіе которыхъ выдаются преміи и т. п. Отчеты о сберегательно-вспомогат., пенсіонной и ссудныхъ кассахъ на дорогахъ и проч.

Отдѣлъ II. Неоффиціальный: 1. Изданіе въ самомъ сжатомъ видѣ результатовъ и свѣдѣній, указанныхъ въ отдѣлѣ 1, но относящихся къ сосѣднимъ дорогамъ и, частью, вообще къ дорогамъ.

2. Сообщеніе свѣдѣній о различныхъ учрежденіяхъ, способствующихъ поднятію умственнаго, нравственнаго и матеріальнаго уровня служащихъ: отчеты и свѣдѣнія объ образовательныхъ учрежденіяхъ на дорогахъ—техническихъ желѣзнодорожныхъ училищахъ, желѣзнодорожныхъ школахъ, воскресныхъ школахъ и вечернихъ курсахъ, библіотекахъ, театрахъ и т. п.

Свѣдѣнія о состояніи инвалидныхъ домовъ, потребительскихъ лавкахъ, столовыхъ, о постройкѣ домовъ и дачъ для служащихъ и вообще о всѣхъ учрежденіяхъ, способствующихъ матеріальному благосостоянію служащихъ.

Сообщеніе полезныхъ свѣдѣній изъ быта служащихъ и вообще всего того, что могло бы способствовать поднятію умственнаго уровня служащихъ и болѣе сознательному отношенію ихъ къ своему дѣлу.

3. Статьи по техническимъ вопросамъ, преимущественно изъ области практическаго желѣзнодорожнаго хозяйства, полезныя открытія и изобрѣтенія въ этой области, свѣдѣнія о результатахъ совѣщаній на желѣзнодорожныхъ съѣздахъ и конгрессахъ въ Россіи и за границей и краткій обзоръ русской и заграничной технической желѣзнодорожной литературы.

4. Объявленія.

Подписная плата на годъ: для постороннихъ управленію лицъ—5 руб., для служащихъ на Закавказскихъ жел. дор.—**3 руб.** По соглашенію допускается разсрочка платежа.

Подписка и объявленія принимаются въ редакціи: Тифлисъ, управл. Зак. ж. д., Канцелярія нач. дор.

Редакторъ Инженеръ *И. Ивановскій.*

ნუშის კრემი

ჰოლლენდერ

(Crème d'amandes)

იხმარება საპნის მაგიერ პირისახისა და ხელების საბანად; ნუშის ფხვნილისა და საპნის მაგიერობასა სწევს. ვურჩევთ ამის ხმარებას იმათ, ვისაც ნაზი კანი აქვს და საპონს ვერ იგუებს. ნუშის კრემი არ ფუჭდება. ნუშის კრემის ხმარებისაგან პირისახის კანი დიდი ხნით რჩება ნაზი და წმინდა. ბანკა ღირს 30 კაპ., 60 კაპ. და 1 მ. ისყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო და საკოსმეტიკო მაღაზიებში. **ერიდეთ სიყალბეს** და ჩვენის კრემის **მზგავსად დამზადებულთ!** სავაჭრო სახლი **„პარფ. ლაბორატორია ი. ჰოლლენდერ“**, პეტერბურგი, რაზიეზჟაია, 13 (Спб. Разъѣзжая, 13).

(4—5.—4)

Дозв. ценз. Тифлисъ 19 декабря 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва